განკარგულება:**g-49. 492536014**
თარიღი:**26/12/2025**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-48253584; 24/12/2025) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრის“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების " საშტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
		129,0	
	ადმინისტრაცია	**18,00**	
1	დირექტორი	1	3300
2	დირექტორის მოადგილე	1	2049
4	ადმინისტრაციის უფროსი	1	1469
5	ბუღალტერი	1	1735
7	საქმის წარმოების და ადამიანური რესურსების მართვის კოორდინატორი	1	1469
8	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორი	1	1469
9	მატერიალურ ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორის თანაშემწე	1	1136
10	შესყიდვების მართვის კოორდინატორი	2	1469
11	სამართლებრივი უზრუნველყოფის მართვის კოორდინატორი	1	1403
12	შიდა მონიტორინგის მართვის მენეჯერი	1	1669
13	შიდა მონიტორინგის მართვის კოორდინატორი	1	1335
14	საფინანსო–ეკონომიკური მართვის კოორდინატორი	2	1442
15	დარაჯი	3	870
16	დამლაგებელი	1	803
	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის სერვისი	**96**	
17	დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვების მართვის მენეჯერი	1	1442
18	მუშების კოორდინატორი	1	1309
19	მეეზოვეთა კოორდინატორი	3	1309
20	აბონენტთა მომსახურების მართვის კოორდინატორი	4	1136
21	მძღოლი	15	1469
22	მუშა	28	1335
23	მეეზოვე	44	1136
	ცენტრალური პარკის ზედამხედველობის სერვისი	15	
24	ცენტრალური პარკის ზედამხედველობის მენეჯერი	1	1442
25	მეეზოვეთა კოორდინატორი	1	1309
26	მეეზოვე	12	1136
29	დამლაგებელი	1	856